ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 242 (19683) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 ᲬᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲬᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲖᲔ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲕᲘᲨᲠᲝᲛᲝᲗ

ᲖᲐᲣᲨᲘᲜ გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავისათვის. ქვეყნის დაბადების დღეს ვეგებებით გაკეთებულისათვის საამაყის გრძნობით, წინსვლას ვამოწმებთ იმით, რაც უნდა გავაკეთოთ, რათა ჩვენი სამშობლო უფრო მძლავრი და ლამაზი გახდეს. ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი მშრომელებს მოუხმობს შეუპოვარი, კეთილსინდისიერი შრომით განახორციელონ პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი:

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝ! ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ! ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲐᲒᲘᲠᲗᲔᲗ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲔᲑᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ!

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება მოითხოვს ღრმა ცვლილებებს, უწინარეს ყოვლისა სახალხო მეურნეობაში. პარტია მოგვიწოდებს ვიბრძოლოთ პროდუქციის ჩინებული ხარისხისათვის, საბჭოთა მარკის ღირსებისათვის, ვიყოთ ყაირათიანი, გამოვიჩინოთ მეტი პასუხისმგებლობა შრომის საბოლოო შედეგებისათვის.

განვლილია ხუთწლედის პირველი წლის სამი მეოთხედი. როგორ სრულდება ეს ამოცანები პრაქტიკულად? სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის ცხრა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ მოწმობს, რომ ხდება პოზიტიური ძვრები. გარდაქმნის პროცესი სულ უფრო მტკიცედ იკრებს ძალას. სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის განვითარების მაჩვენებლები აღემატება გასული წლის შესაბამის ტემპს და მიმდინარე წლის საგეგმო დავალებებს. წარმოებული შემოსავალი გაიზარდა 18 მილიარდი მანეთით, ანუ 4,8 პროცენტით. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ძირითადი ფონდების ამოქმედება გადიდდა 8,5 მილიარდი მანეთით, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში — 4,8 პროცენტით.

ამავე დროის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 31 მილიარდი მანეთით, ანუ 5,2 პროცენტით, რაც მეტია გეგმის დავალებებზე. გაუმჯობესდა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოშვების დავალებებისა და მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. უკვე ხუთწლედის პირველ წელს წარმოების განვითარების ტემპით ქვეყანა მიაღწევს ხუთწლიანი გეგმის საშუალო წლიურ დავალებათა დონეს. აგროსამრეწველო კომპლექსში უფრო აქტიურად ინერგება ინტენსიური ტექნოლოგიები და სხვა მეცნიერული მიღწევები. მეტია მიღებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქცია.

შრომითი მიღწევების მეორე უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა სოციალური მიმართულების გაძლიერება ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის შემდგომი ამაღლება. მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 8,7 პროცენტით. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა სახალხო მეურნეობაში შეადგინა 194 მანეთი, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება გადიდდა ოთხი პროცენტით. დამთავრდა მასწავლებლების, მთელი რიგ სხვა სასწავლებელთა პედაგოგების სარგოებისა და განაკვეთების გადიდება. იხვეწება კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა, მეცნიერ მუშაკთა შრომის ანაზღაურება. გაიზარდა საქონელბრუნვა, გაუმჯობესდა სახალხო მოხმარების სტრუქტურა, გაფართოვდა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მასშტაბი.

ამავე დროს თითოეულ რესპუბლიკაში, ეკონომიკის თითოეულ დარგში ჯერ კიდევ არის ბევრი გამოუყენებელი რეზერვი. თუმცა ცხრა თვის გეგმა მთლიანად შესრულდა, მაგრამ მრეწველობამ თავი ვერ გაართვა სექტემბრის დავალებას. არ შესრულებულა ნავთობის მოპოვების, მინერალური სასუქების, სინთეზური ფისებისა და პლასტმასების, ფერადი ტელევიზორების, სხვა ნაწარმის გამოშვების გეგმა. სერიოზული ჩამორჩენაა დაშვებული ნომენკლატურის მიხედვით დავალებათა შესრულებაში. მიწოდების ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება როდი შესრულდა დასახულ ვადებში. ფერხდება ბევრი ახალი საწარმოო სიმძლავრის ამოქმედება. დაგეგმილზე ნაკლებია საექსპლოატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი ბინები, სოციალური სფეროს სხვა ობიექტები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის მებრძოლთა პირველ ეშელონში არიან მანქანათმშენებლები, მათი ვალია, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში, შექმნან ახალი, დიდმწარმოებლური, საიმედო მანქანები და მოწყობილობა. მაგრამ აქ რეზერვები მთლიანად როდია ამოქმედებული, ნაწარმის ტექნიკური დონის ხარისხისა და საიმედოობის გადიდებისათვის მუშაობა არ წარმოებს სათანადო გაქანებით. სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდის მიუხედავად, ბევრი მათგანი, განსაკუთრებით რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მყიდველთა სერიოზულ პრეტენზიებს იწვევს.

პარტიის მოწოდებები დარგების მშრომელთა ყურადღებას მიაპყრობს მთავარ მიმართულებებს. ნავთობის, გაზის, ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთათვის — ეს არის ის, რომ საიმედოდ უზრუნველყონ ეკონომიკის მოთხოვნილებანი სათბობზე, ნედლეულსა და მასალებზე. აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელებისათვის — გააუმჯობესონ ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფა, გაზარდონ მინდვრებისა და ფერმების პროდუქტიულობა. მშენებლებისათვის — ხარისხიანად და ვადაზე ადრე ამოქმედონ საწარმოო და სოციალური სფეროს ობიექტები.

წლის უკანასკნელი კვარტალი ყველაზე დაძაბულია მშენებლებზე. ჯერჯერობით რესურსების თავმოყრა ბევრ ასამოქმედებელ ობიექტზე საკმარისი არ არის, დავალებათა შესრულების დონე კი დაბალია, ვიდრე მთლიანად მშენებლობაში. საჭიროა სწრაფად გამოვასწოროთ მდგომარეობა. მიმდინარე წლის ყველა ასამოქმედებელი ობიექტი უნდა აშენდეს და გადაეცეს ფრიადი ან კარგი შეფასებით. ამაზეც ბევრად იქნება დამოკიდებული მომავალი სამრეწველო წარმოებების, სათბობ-ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ობიექტების გეგმაზომიერი, რიტმული მუშაობა.

1987 წლის დამდეგიდან მრეწველობის ყველა დარგი გადადის მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობაზე. კიდევ უფრო განვითარდება სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა, ორიენტაცია შრომის საბოლოო შედეგებზე. ეს ნიშნავს, რომ პარტიულმა კომიტეტებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა დარჩენილ დროში უნდა გააქტიურონ მართვის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერებასთან დაკავშირებული მოსამზადებელი მუშაობა. გაერთიანებათა და საწარმოთა უფლებებისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოება მოითხოვს, რომ ორგანიზატორული მუშაობის სიმძიმის ცენტრმა უშუალოდ შრომის კოლექტივებში გადაინაცვლოს.

პარტია საბჭოთის მშრომელებს მოუწოდებს ხუთწლედის შრომითს ფრონტზე დამკვრელური მუშაობით განამტკიცონ სოციალიზმისა და მშვიდობის საქმე.

წლის დამლევამდე ცოტა დრო დარჩა, თითოეული შრომითი კოლექტივის ვალია გამოიყენონ იგი მაქსიმალური სარგებლიანობით. თითოეულ ჩვენგანს ეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების სიტყვები:

— **ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲝ! ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐ! ᲓᲐᲐᲩᲥᲐᲠᲔᲗ ᲧᲘᲜᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲗ, ᲐᲠ ᲓᲐᲕᲣᲨᲕᲐᲗ ᲗᲕᲘᲗᲛᲝᲥᲛᲐᲦᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲐᲠᲮᲘᲜᲝᲑᲐ!**

ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲗᲘᲗ 1986 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲔ�გᲛᲝ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ! ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲗᲘᲗ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔᲯᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ!

ᲞᲘᲖᲘᲢᲐᲓ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა დანიის პრემიერ-მინისტრი პოულ შლუტერი მეუღლითურთ.

აეროდრომზე პრემიერ-მინისტრს და მის მეუღლეს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ს. ფურახოვსკი და სხვა ოფიციალური პირნი.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲘ

Ж. К. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ



ᲡᲔᲠᲒᲝ ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართა 20 ოქტომბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

პრეზიდიუმში ისხდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. აწჩაბაძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ნ. რ. საჯაია, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰ. ემირიძე. აქვე იყვნენ ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელები — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ე. მეზტიევი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ა. არზუმანიანი, ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე თ. ბ. საბანოვი, ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. მ. ქემოვა, სკკპ ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე მ. პ. ბაკაევი, იაკუტეთის ასს რესპუბლიკის სკკპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი მ. ი. ვარლამოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი, არმიის გენერალი ვ. ა. მატროსოვი, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები. პრეზიდიუმში არიან აგრეთვე გ. კ. ორჯონიკიძის ქალიშვილი ეთერი, მისი უახლოესი ნათესავები და თანასოფლელები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ. მან, კერძოდ, თქვა:

— სასიქადულო ბოლშევიკის, დიდი ლენინის მოწაფისა და თანამოსაგრის საიუბილეო დღეები მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ პერიოდში, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის საქართველოს მშრომელები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვიან სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ნიშანდობლივია ისიც, რომ იმ ადამიანის საიუბილეო დღეები, რომელმაც ასე ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიის შექმნისა და მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, დაემთხვა საერთაშორისო ცხოვრების თვალსაჩინო პოლიტიკურ მოვლენებს. საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოზიციას, რომელიც რეიკიავიკის შეხვედრაზე გამოავლინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, და მიაჩნია იგი პარტიის XXVII ყრილობის კურსის — ბირთვული საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის, კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილების, ფართო და პატრიოსანი ორმხრივ ხელსაყრელი საერთაშორისო თანამშრომლობის კურსის შეშმარიტ ხორცშესხმად.

ს. ორჯონიკიძის ნათელი ხსოვნის პატივსაცემად საქართველოს შრომელებმა დამკვრელური შრომით აღნიშნეს საიუბილეო თარიღი. გულთბილ ვითარებაში ჩაიარა ზეიმებმა აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, სერგოს მშობლიურ სოფელში, რესპუბლიკის ბევრ რაიონში ფართოდ აღინიშნება მგზნებარე რევოლუციონერ-ლენინელის იუბილე. [illegible] ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გაკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

დროთა და თაობათა განუყრელი კავშირის, პარტიული მშენებლობის გამოცდილების დამრაზმველი ძალის შესახებ ილაპარაკეს პროფესორმა დ. გ. სტურუამ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ე. მეზტიევმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ლენინური პრემიის laureატმა გ. ა. მელიქიშვილმა, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ა. არზუმანიანმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. შ. ციციშვილმა, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ჰ. კ. აიბამ, ორჯონიკიძის რაიონის ღორეშის საშუალო სკოლის დირექტორმა დ. ი. ხაჩიძემ, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ი. ნ. ტეხოვამ, ქედის რაიონის სოფელ ცხმორისის კოლმეურნემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. მ. ღოღობერიძემ, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ბრიგადირმა, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა გ. ს. რუსიამ, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ვ. მარგველიძემ.

დასასრულ საზეიმო სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗᲝᲑᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲮᲡᲝᲕᲜᲐ

ᲛᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ რევოლუციონერის 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო ზეიმმა მისი შობლიური მხარიდან საქართველოს დედაქალაქში გადმოინაცვლა. აქ იგი იმით დაიწყო, რომ გვირგვინით შეამკეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომლის უახლოესი თანამებრძოლი და ერთგული მოწაფე იყო ამხანაგი სერგო. საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად აქ მოვიდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის, რუსეთის სფს რესპუბლიკის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის და იაკუტიის ავტონომიური რესპუბლიკების დელეგაციები.

„აპასიონატის“ მილოდიის თანხლებით ძეგლს ამკობენ გვირგვინით, რომლის წოთელ ლენტზე წარწერილია: „ვ. ი. ლენინს— საიუბილეო ზეიმის მონაწილეთაგან“.

გვირგვინით შეამკეს გ. კ. ორჯონიკიძის ძეგლი, რომელიც აღმართულია თბილისის ორი რაიონის — ორჯონიკიძისა და საბურთალოს რაიონების დამაკავშირებელ მაგისტრალზე. გ. კ. ორჯონიკიძის — წოთელი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორის, მშენებლისა და პოლიტიკური ხელმძღვანელის მხედრულ დამსახურებათა აღიარების ნიშნად ამ დღეს მისი ძეგლი გვირგვინით შეამკეს ამიერკავკასიის წოთელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს სახელითაც. ძეგლის წინ საზეიმო მარშით ჩაიარეს თბილისის გარნიზონის მეომრებმა.

თბილისში გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე გაიხსნა მემორიალური ბინა-მუზეუმი. აქ ცხოვრობდა და მუშაობდა ოციან წლებში გრიგოლ კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე, მეთაურობდა რკკ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს.

— სამშობლო არ ივიწყებს თავის ერთგულ შვილებს, — თქვა ბინა-მუზეუმის გახსნისას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ალავიძემ.—ახალი მუზეუმის როლი არ ამოიწურება მხოლოდ ჩვენი გამოჩენილი თანამემამულის ხსოვნის პატივისცემის გამოხატვით, ეს მოზარდი თაობის კომუნისტური და იდეურ-ზნეობრივი აღზრდის კიდევ ერთი ცენტრია.

სერგო ორჯონიკიძის მრავალმხრივი მოღვაწეობის წარუვალი მნიშვნელობის შესახებ აქ ილაპარაკეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ბათუმის ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა დ. ა. ხახუტაიშვილმა, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ თ. ბ. საბანოვმა, თბილისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ფაბრიკის მკერავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. ა. კალმახელიძემ, კამოს — ს. ორჯონიკიძის ოჯახის მეგობრის დისწულმა ექიმმა კ. ვ. ხუტულაშვილმა.

ამხანაგ სერგოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკაფიო ფურცლები წარმოაჩინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტში — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალში გამართული საიუბილეო სამეცნიერო სესიის მონაწილეებმა. სესია გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ი. ლაღიძემ.

მოხსენება გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა დ. გ. სტურუამ. ლენინდარული პიროვნების, მტკიცე ბოლშევიკის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის შესახებ საუბარი განაგრძეს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, პროფესორმა გ. ი. მერკვილაძემ, სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის - დირექტორის მოადგილემ ი. ვ. მრავიანმა, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მ. მახარაძემ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ზ. ა. მელიქ-ასლანოვამ და პარტიის ვეტერანმა ა. კ. კელენჯერიძემ.

საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, კ. ა. კოჩეტოვი, რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ — ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ж. Ი. ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ 1986 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

ამხანაგებო!

100 წლის წინათ დაიბადა სერგო ორჯონიკიძე.

ასი წელი. მთელი საუკუნე.

მაგრამ როცა დაფიქრდები, რომ ამ ასი წლიდან გრიგოლ კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძემ მხოლოდ ნახევარი იცოცხლა, მაშინ ხვდები, რომ ამ წლებს საუკუნის ტოლფასი სიცოცხლე დაუტევიათ.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეეძლო ერთსა და იმავე კაცს აქტიურად მიეღო მონაწილეობა ვ. ი. ლენინის დავალებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 1912 წლის პრაღის კონფერენციის მომზადებაში; გადაეტანა ხუთი პატიმრობა, რამდენიმე წელს მჯდარიყო ბაქოს, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის სატუსაღოებში და მთელ სამ წელიწადს — შლისელბურგის ციხეში. მოეხადა სამი წლის კატორღა, ორჯერ გაეძლო ეტაპისათვის, ორჯერ ყოფილიყო გადასახლებული ციმბირში — ანგარისპირეთსა და იაკუტსკში; მაღლად შეეფინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით რაზლივში და დაემყარებინა ცენტრალური კომიტეტის კავშირი ვ. ი. ლენინთან, რომელიც არალეგალურად ცხოვრობდა იქ; ყოფილიყო პეტროგრადში ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების აქტიური მონაწილე; სამ წელიწადზე მეტ ხანს დაეყო სამოქალაქო ომის ფრონტებზე, ყოფილიყო უკრაინის, შემდეგ კი მთელი სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი, სამხრეთის, დასავლეთის, კავკასიის ფრონტების სამხედრო საბჭოების წევრი; ეომა დონზე და ყუბანში, ცარიცინში და თერგზე, ბელორუსიის ტყეებსა და კავკასიის მთებში; — სათავეში ჩასდგომოდა ბრძოლას ვლადიკავკაზის (ამჟამად — ქ. ორჯონიკიძე) განთავისუფლებისათვის, პირველი შესულიყო აზერბაიჯანში, გაეთავისუფლებინა თეთრგვარდიელთა ჯარებისაგან ბაქო და ს. მ. კიროვთან ერთად მიეღო იქ წოთელი არმიის ნაწილების პარადი; შეეტანა უზარმაზარი წვლილი ჩრდილოეთ კავკასიასა და მთელ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში; ექვს წელიწადზე მეტი ხანს ეხელმძღვანელა ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარე, შემდეგ კი პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი; და ბოლოს, ეომუშავა სკკ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ და მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისრად, აგრეთვე სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელად, ხოლო უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაციის მერე — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრად, 1922 წლიდან — სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, 1930 წლიდან კი ყოფილიყო სკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.

და ეს ყოველივე ერთი სიცოცხლეა! ეს ყოველივე 50 წელიწადმა დაიტია!

1.

1921 წლის 25 თებერვალს მოსკოვში, კრემლში, ლენინსა და სტალინს სერგო ორჯონიკიძის ხელმოწერით გაეგზავნათ დეპეშა: **„თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.**

ხოლო რამდენიმე დღეში, 1921 წლის 2 მარტს, მოსკოვიდან თბილისში მოვიდა ვ. ი. ლენინის პასუხი. გ. კ. ორჯონიკიძისათვის გამოგზავნილ წერილში იგი წერდა: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმა 1921 წლის 14 აპრილის წერილშიც — „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“ — საპროგრამო დოკუმენტით, რომელმაც განსაზღვრა მთელი ამიერკავკასიის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების, მისი ეროვნული აღორძინების კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა.

გადასაწყვეტი იყო გრანდიოზული ამოცანები. და სერგო ორჯონიკიძე, ს. მ. კიროვთან, ა. თ. მასლიკოვთან, ნ. ნ. ნარიმანოვთან და ამიერკავკასიის ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად რაზმავდა მშრომელთა ფართო მასებს დანგრეული და გაპარტახებული მეურნეობის აღდგენისათვის, ლენინის დიდ წინასწარდასახულობათა, ლენინის იმ ანდერძის განხორციელებისათვის, რომ **მთელი ძალ-ღონით განვითარებინათ მდიდარი მხარის სიმარჯვე ძალები; გამოეყენებინათ თეთრი ქვანახშირი, რწყვა, დაეწყოთ ელექტრიფიკაციის დიდი სამუშაოები, ხალხს სამსახურში ჩაეყენებინათ უზარმაზარი წიაღისეული სიმდიდრე — ნავთობი, მანგანუმი, ქვანახშირი, სპილენძი.**

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჭიათურის მანგანუმის დამუშავებას. გ. კ. ორჯონიკიძე ყოველ ღონეს ხმარობდა, ოღონდ სწრაფად აღდგენილიყო და განვითარებულიყო საქართველოს უდიდესი მაღაროები, რათა მათ განვითარებინათ რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის ეკონომიკა.

დაუყოვნებლივ დაიწყო ელექტრიფიკაციის სამუშაოები. 1922 წელს საძირკველი ჩაეყარა იმ დროისათვის ერთ-ერთ უდიდეს ელექტროსადგურს — ზაჰესს. ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის სესხის გამოყოფის საკითხის განხილვისას ვ. ი. ლენინი გ. კ. ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ წერილში სთხოვს მოეკიდოს ამ საქმეს **„უაღრესი ყურადღებით“** და გაუგზავნოს „მთელი მასალაც და **მოკლე ცნობაც“** პირადად მას.

1923 წლის შემოდგომაზე გ. კ. ორჯონიკიძე თვითონ მიემგზავრება გერმანიაში სადგურის მშენებლობის კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად მოწყობილობის შესაძენად. შემონახულია კონოკადი: სერგო ორჯონიკიძე შაბათობაზე. საქართველოს ელექტროფიკაციის პირმშოს აგებაში მან პირადი შრომითი წვლილიც შეიტანა. ამასთ

მთელი სიცოცხლე — ბრძოლაში!

(დასასრული)

როცა საქართველოში 65 საბჭოთა წლის მანძილზე მომხდარ დიდ ცვლილებებზე ვლაპარაკობთ, ამას ყოველთვის ვუკავშირებთ იმათ სახელებს, ვინც ბოლშევიკი ლენინელების სახელოვან კოჰორტას შეადგენდა, ვინც საძირკველს უყრიდა დღევანდელ წარმატებებს და ვინც აუცილებელი დინამიზმი შესძინა მათ. და პირველი მათ შორის, რა თქმა უნდა, ამხანაგი სერგო იყო. აი რატომ არის ესოდენ ძვირფასი ჩვენთვის მისი სახელი.

ორჯონიკიძე და საქართველო. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. აქ იწყება პროფესიონალი რევოლუციონერის გზა, ბრძოლით და მკაცრი გამოცდებით აღსავსე ცხოვრება: შეიდა რა 17 წლისა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგებში, ორჯონიკიძე რევოლუციონერი და ბოლშევიკი გახდა. მისთვის რევოლუციური ბრძოლის პირველი სკოლა იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოები, სადაც თბილისის პარტიული ორგანიზაციის დავალებით პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა, ხოლო პირველ სახრძოლო ნათლობად იქცა 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობა.

ბრძოლაში იწრთობოდა ხასიათი, კაჟდებოდა ნებისყოფა, განმტკიცდა რევოლუციური ნიჭი, სოციალისტური შეხედულების გამოჩენილი ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის გრიგოლ კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძის ნიჭი, რომელიც ყოველ თავის ნაბიჯს, ყოველ გადაწყვეტილებასა და ყოველ მოქმედებას უფარდებდა ლენინს, მის რჩევა-დარიგებასა თუ მითითებებს, იგი ყოველთვის აძლევდა თავისთავს კითხვას: „რას იტყოდა ამაზე ლენინი?“

3.

მხურვალედ მიესალმა რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ვ. ი. ლენინმა გამოთქვა იმედი, რომ „მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს“.

სერგო ორჯონიკიძემ ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების კავშირი სულ უფრო მჭიდრო გამხდარიყო და რომ მათ შორის ეროვნულ მშვიდობიანობას დაესადგურებინა. მან ბევრი რამ გააკეთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ძმური მეგობრობის სულისკვეთებით სხვადასხვა ერისა და ეროვნების მშრომელთა აღსაზრდელად, რასაც ამიერკავკასიის პირობებში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ეროვნული მშვიდობიანობის დამყარებამ და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანებამ განაპირობა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი გახდა.

„საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, — ამბობდა სერგო, — ჩვენ — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი — ცალ-ცალკე კი არ შევდივართ, არამედ ამიერკავკასიელი ხალხების ერთიან ოჯახად“...

მეთაურობდა რა ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებს, გ. კ. ორჯონიკიძე შეურიგებლად ებრძოდა კუთხურობას, ახორციელებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანების მტკიცე პოლიტიკას. თავის გამოსვლებში პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, პარტიული კრებებსა და მშრომელთა ხალხმრავალ მიტინგებზე იგი ამბობდა, რომ საჭირო იყო აღმოეფხვრათ ხალხთა შორის უნდობლობა და მტრობა, შექმნათ ურთიერთპატივისცემის, მეგობრობისა და ძმობის ატმოსფერო.

ასრულებდა რა ლენინის ცნობილ მითითებას, გ. კ. ორჯონიკიძე მოუწოდებდა არ აერიათ ერთმანეთში ერთ-ერთ თვითგამოკვეთის უფლება და ამა თუ იმ მომენტში ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი.

„ვაცხადებთ სრულიად გულწრფელად და სრულიად კატეგორიული ფორმით, — ამბობდა იგი, — რომ ჩვენ საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის მომხრენი ვართ. ჩვენ დაუძინებელი მტრები ვართ კონტრრევოლუციისაგან საქართველოს მშრომელთა მასების ყოველგვარი ჩაგვრისა და ყოველგვარი დამოკიდებულებისა. ჩვენ ვართ ამიერკავკასიის ერების: ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელ ელბის უსაზღვრო აყვავების, მათი მშობლიური ენის, მშობლიური კულტურის, მშობლიური ლიტერატურის აყვავების მომხრენი; გულწრფელად ვემხრობით ამ ხალხების შინაური ცხოვრების ისე მოწყობას, როგორც ეს მშრომელთა მასებს სურთ. მზად ვართ საკუთარი სისხლით დავიცვათ ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა მათი საზღვრების ხელყოფის შემთხვევაში, ვინც უნდა გაბედოს ეს... მაგრამ. ჩვენ ასევე აბსოლუტურად შეუძლებლად მიგვაჩნია საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ერთმანეთისაგან და მსოფლიო რევოლუციისაგან... ერთმანეთის ეკონომიკური და სამხედრო დახმარების გარეშე საბჭოთა რესპუბლიკები ვერ იარსებებენ“.

ამავე დროს იგი ხაზგასმით აღნიშნავდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიურ ფორმირებათა შექმნის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას. სერგო ამბობდა, რომ საქართველოს საბჭოთა სახელმწიფო — ეს არის პატარა ფედერაცია, რომელიც შედგება აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთისაგან, და გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მათი ორგანიზაციული შეკავშირების ამაზე უკეთესი საშუალება არ არსებული.

ბევრი რამ აკავშირებდა გ. კ. ორჯონიკიძეს აფხაზეთთან. სერგო აქ, გუდაუთაში მუშობდა საფეიერვერო სკოლის დამთავრების შემდეგ. აქ, რსდმპ ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფის ხელმძღვანელი ბირთვის შემადგენლობაში სერგო აფხაზ ბოლშევიკებთან ერთად რაზმავდა მშრომელებს რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, უზრუნველყო ფდა იარაღის მიწოდებას ფოთიდან ალაბაძეში.

გ. კ. ორჯონიკიძის სახელთან, გამოჩენილი აფხაზი რევოლუციონერების, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების ნესტორ ლაკობასა და ეფრემ ეშბას სახელებთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული ბრძოლა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და დამკვიდრებისათვის, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებანი.

არასდროს არ დაავიწყდებათ აჭარის კომუნისტებს, ყველა მშრომელს, რუსეთის პირველი რევოლუციის მზადებისა და მოწყობის პერიოდში ი. ბ. სტალინის კავალდაკვალ გ. კ. ორჯონიკიძე როგორ აწყობდა პროლეტარიატის შეიარაღებულ გამოსვლებს ცარიზმის წინააღმდეგ, კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლების წინააღმდეგ და შემდეგ სერგო როგორ რაზმავდა ხალხს საძულველი მეზვეკიერი უღლისაგან თავდასაწსლელად, საქართველოსა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საბრძოლველად, მერე კი აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეხმარებოდა სოციალისტურ ყაიდაზე ცხოვრების გარდაქმნაში.

გრიგოლ კონსტანტინეს ძემ აცნობა ვ. ი. ლენინს ისეთი ისტორიული მოვლენა, როგორიც იყო სამხრეთ ოსეთის მშრომელთა აჯანყება მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ 1920 წლის ივნისში, და უზრუნველყოფდა აჯანყებულებისათვის საბჭოთა მთავრობის დახმარებას.

1921 წლის თებერვალში კი თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული, ლეგენდარული მეთერთმეტე წითელი არმიის ნაწილები მამისონის უღელტეხილზე რომ გადმოდიოდნენ, მათ ბრძოლებით წინ მოუძღოდა პარტიზანული რაზმი გ. კ. ორჯონიკიძის მეგობრის დომენტი ხუციევის მეთაურობით, რომელიც სერგოს წარდგენით წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდეს.

თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან ვლადიკავკაზის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში — სამოქალაქო ომის ამ სახელოვან ეპოპეაში, — რომელიც სერგოს ხელმძღვანელობით განხორციელდა, ბევრმა მისმა მებრძოლმა მეგობარმა და თანამოსაგრემ გმირობისა და მამაცობის ნიმუშები გამოავლინა.

წმიდად ინახავენ გ. კ. ორჯონიკიძის ხსოვნას დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ბრძოლა-ბრძოლა.

ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში, რომელზეც ვ. ი. ლენინი სწერდა კავკასიის კომუნისტებს, **უკვე დიდი ხანია გახდა არა მარტო პოლიტიკა და იდეოლოგია, არამედ რეალური სოციალური პრაქტიკაც.**

ეს ვთქვით სკკპ XXVII ყრილობაზე, როცა გავიხსენეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღეს სერგო ორჯონიკიძის მიერ მოსკოვში გაგზავნილი დეპეშა, და ის, რომ წელს სრულდება გრიგოლ კონსტანტინეს ძის დაბადების 100 წლისთავი.

ახლა, იმ ღირსშესანიშნავი დღიდან 65 წლის შემდეგ, როცა თბილისზე აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, საქართველოში, გ. კ. ორჯონიკიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ხალრთო ოჯახად“** ცხოვრობენ, შრომობენ და მეგობრობენ ქართველები, აფხაზები, ოსები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები — 80-ზე მეტი ეროსა და ეროვნების წარმომადგენელები.

ეს არის ჩვენი განსაკუთრებული სიამაყე, ისევე როგორც ის, რომ რესპუბლიკის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება წარმოებს ექვს ენაზე, ხოლო შვიდ ენაზე გამოდის წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ეწყობა ტელე და რადიოგადაცემები.

საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის მკაფიო, დაუვიწყარ ღემონსტრაციად გადაიქცა ვეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავი, რომელმაც სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს ბედი რუსეთს, — ეს ნამდვილად ინტერნაციონალური ღღესასწაული.

„ამიერკავკასიის მშრომელებს,— ამბობდა გ. კ. ორჯონიკიძე,—ვერ წარმოედგინათ ბრძოლა პოლიტიკური და ეროვნული განთავისუფლებისათვის რუსეთის მუშებთან და გლეხებთან ძმური კავშირის გარეშე. რევოლუციურ ისტორიას არ ახსოვს რუსეთის პროლეტარიატის არც ერთი მეტ-ნაკლებად შესამჩნევი გამოსვლა, რომლისთვისაც მზარი არ დაეჭიროთ ამიერკავკასიის მშრომელებს“.

მას არაერთგზის აღენიშნავს, რომ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს განთავისუფლებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა რუსეთის დახმარებამ, რომ თავის ეკონომიკურ აღორძინებას ამიერკავკასიის რესპუბლიკები საბჭოთა რუსეთის მატერიალურ დახმარებას უნდა უმადღონდნენ.

სერგო ორჯონიკიძე ამიერკავკასიის კომუნისტებს ზრდიდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით. მან ერთხელ ასე განაცხადა: „არ არსებობს იმაზე მეტი პატრიოტიზმი, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების სიწმინდისა და პროლეტარული ინტერესებისადმი სამსახურის პატრიოტიზმი“.

მგზნებარე პატრიოტი და ხალხთა მეგობრობის ღენინური იდეების დაუცხრომელი პროპაგანდისტი გ. კ. ორჯონიკიძე პირად ცხოვრებაშიც ერთგული და თანამიმდევარი ინტერნაციონალისტი იყო. სწორედ რევოლუციური ძმობის გრძნობით, იდეურ-პოლიტიკური თანამოაზრეობითა და ერთსულოვნებით იყო შედუღაბებული მთელი წლების მანძილზე მისი მეგობრული კავშირი და ურთიერთობა ისეთ ბოლშევიკ ლენინელებთან, როგორიც იყვნენ იოსებ სტალინი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ფელიქს ძერჟინსკი, მიხეილ კალინინი, სერგო სპანდარიანი, აბელ ენუქიძე, სტეფანე შაუმიანი, ალოშა ჯაფარიძე, ქამო (სიმონ ტერ-პეტროსიანი), ნოე ბუაჩიძე, სერგი კიროვი, მეშადი აზიზბეკოვი, ალექსანდრე მიასნიკოვი, მამია ორახელაშვილი, ნარიმან ნარიმანოვი, ვანო სტურუა, შალვა ელიავა, ნესტორ ლაკობა, ვალადიმერ სანაკოევი, ეფრემ ეშბა, მახაჯ დადახაევი, ბეტალ კალმიკოვი, სახამჯერ მამსუროვი, ხიზარ ორცხანოვი, მაქსიმე ამოსოვი და ბევრი სხვა.

ხალხთა ასეთი ურღვევი, ნამდვილად ლენინური მეგობრობა, პატივისცემა ყველა ხალხის ეროვნულ-კულტურისა და ეროვნული ღირსებისადმი მტკიცედ დამკვიდრდა ათმილიონობით ადამიანის შეგნებაში. „საბჭოთა ხალხი,—თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, — ამჟამად არის თვისებრივად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობა, რომელიც შედუღაბებულია ეკონომიკური ინტერესების, იდეოლოგიისა და პოლიტიკური მიზნების ერთიანობით“.

ამავე დროს ერების შემდგომი აყვავებისა და დაახლოების ინტერესები ჩვენი, ნამდვილად უნიკალური მრავალეროვანი სახელმწიფოს პირობებში მოითხოვს განსაკუთრებით მწვავე რეაგირებას ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებებზე, რითაც უნდა იმოსებოდნენ ისინი, პრინციპულ ბრძოლას ეროვნული შეზღუდულობისა და კარჩაკეტილობის, ეროვნული ეგოიზმის, კუთხურობის, ყოყოჩობის წინააღმდეგ.

ამის შესახებ სერგო ორჯონიკიძეს აქვს ასეთი გამონათქვამი: „რაც შეიძლება ღრმად უნდა ჩაიხედო შენს სულში და როგორც კი იპოვი პატარა ნაციონალისტურ სიმს, მაშინვე უნდა ამოგლიჯო, გადააგდო და თქვა: „არ გვინდა“, რადგან იგი ხელს გვიშლის ჩვენ, ხელს უშლის ჩვენს ერთიანობას, ჩვენს ძალას, ჩვენს ნებას“.

შესანიშნავადაა ნათქვამი!

ნამდვილ ლენინურ გულისხმიერებასა და ლენინურ სიფრთხილეს მუდამ უნდა ვავლენდეთ ინტერნაციონალური აღზრდისათვის ჩვენს მუშაობაში, და წარვმართავდეთ მას პატრიოტულ აღზრდასთან მჭიდრო კავშირით, თითოეულ ადამიანს ვუნერგავდეთ სსრ კავშირის ყველა ერთან და ეროვნებასთან მეგობრობისა და ძმობის გრძნობას, ეროვნული ურთიერთობის მაღალ კულტურას, ოქტომბრის სამშობლოს, იმ მხარის სიყვარულს, სადაც დაიბადე და გაიზარდე, სამაყეს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიული წარმატებებისათვის.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ერთობლივმა დადგენილებამ სამი მომე რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური ურთიერთობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ და ამასთან დაკავშირებით შემუშავებულმა ღონისძიებათა კომპლექსურმა გეგმამ.

ეს გეგმა რეალური საქმე უნდა გახდეს. ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობა უნდა წარვმართოთ მთელი სიგრძე-სიგანით, ჩაეწვდეთ უფროთოეს მასებს, თითოეულ კოლექტივს, თითოეულ ადამიანს, რომ პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმით, რომლის დაუცხრომელი ქომაგი იყო სერგო ორჯონიკიძე, მუდამ წარმოჩნდეს ჩვენი ხალხების სულიერი სახე.

4.

ამხანაგებო!

საიუბილეო, მათ შორის „მრგვალი“ თარიღები — ეს მარტოოდენ ისტორიული პიროვნების, გამოჩენილი მოღვაწის, წარჩინებული ადამიანის პატივისცემის გამოხატულება როდია. მთავარია, რით არის ეს ადამიანი ჩვენთვის ძვირფასი დღეს, როგორ ეხმარება იგი ადამიანებს იცხოვრონ, იმუშაონ და იბრძოლონ დღეს, გადაწყვიტონ დღევანდელი ამოცანები. და თუ მისი წარსული დამსახურება არ ჰკნენა აწმყოში და გზას იკაფავს მომავალში, იგი თანამედროვე რჩება ყოველი თაობისათვის.

გვახსენდება ვ. ი. ლენინის სიტყვები: „...ისინი, ვინც ნამდვილად ღიმსია პოლიტიკური მოღვაწის სახელისა, არ კვდებიან პოლიტიკისათვის, როცა ისინი ფიზიკურად კვდებიან“.

არასდროს არ მოკვდება ჩვენი პოლიტიკისათვის სერგო ორჯონიკიძე! იგი სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების თანამედროვედ, თანამებრძოლად, თანამაზრად და გვეხმარება დღეს. მისი მაგალითით აღვზარდოთ მოზარდი თაობები, ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა, აღვზარდოთ მაღალი იდეურობის, კომუნისტური სიმტკიცის, ჩვენი დიდი სამშობლოს, ჩვენი ლენინური პარტიის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საგულისხმოა, რომ სერგო ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავს სკკპ XXVII ყრილობის წელს აღვნიშნავთ.

მივმართავთ რა სერგო ორჯონიკიძის რევოლუციურ მემკვიდრეობას, ამ მემკვიდრეობაში ვპოულობთ ენერგიას, ძალასა და ცოდნას იმ სტრატეგიული კურსის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი პარტია დაადგა, რათა დაიჩქაროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გააძლიეროს ეკონომიკური ზრდის ტემპი, მოახლინოს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის, შრომის მართვის, ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების დანერგვის საფუძველზე.

მთელ თავის ენერგიას, მთელ თავის ძალ-ღონეს გ. კ. ორჯონიკიძე ახმარდა სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებას, რომლის სამი უმნიშვნელოვანესი რგოლი იყო: **ინდუსტრიალიზაცია. კოლექტივიზაცია. კულტურული რევოლუცია.**

გ. კ. ორჯონიკიძე იყო ტექნიკური პროგრესის მხურვალე ქომაგი, როგორც მისი თანამედროვენი ამბობდნენ, მას უნარი შესწევდა „ბიძგი მიეცა ტექნიკური აზრისათვის“. იგი, სოციალიზმის იმ ისტორიული ამოცანის განხორციელებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იყო, რომ დაეწეოდით და გადაესწრო ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის.

სერგომ ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენა სამეცნიერო დაწესებულებებისა და წარმოების კავშირის ყოველმხრივ განმტკიცების ამოცანა. იგი მუშებს, წარმოების მეთაურებს დაუცხრომლად უნერგავდა ახალი ტექნიკის ათვისებისადმი მისწრაფებას, ტექნიკურ შემართებას, ამრავლებდა წარმოების ნოვატორთა რიგებს. ტყუილად როდი უწოდებდნენ მას „სტახანოველთა სახალხო კომისარს“.

„ჩვენი დღევანდელი ძირითადი ამოცანაა, — თქვა გ. კ. ორჯონიკიძემ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაკებთან საუბარში, — შევძლოთ დავრაზმოთ ადამიანები ტექნიკის ახალი მწვერვალების დასაპყრობად“.

ამავე დროს ერების შემდგომი აყვავებისა და დაახლოების ინტერესები ჩვენი, ნამდვილად უნიკალური მრავალეროვანი სახელმწიფოს პირობებში მოითხოვს განსაკუთრებით მწვავე რეაგირებას ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებებზე, რითაც უნდა იმოსებოდნენ ისინი, პრინციპულ ბრძოლას ეროვნული შეზღუდულობისა და კარჩაკეტილობის, ეროვნული ეგოიზმის, კუთხურობის, ყოყოჩობის წინააღმდეგ.

ამის შესახებ სერგო ორჯონიკიძეს აქვს ასეთი გამონათქვამი: „რაც შეიძლება ღრმად უნდა ჩაიხედო შენს სულში და როგორც კი იპოვი პატარა ნაციონალისტურ სიმს, მაშინვე უნდა ამოგლიჯო, გადააგდო და თქვა: „არ გვინდა“, რადგან იგი ხელს გვიშლის ჩვენ, ხელს უშლის ჩვენს ერთიანობას, ჩვენს ძალას, ჩვენს ნებას“.

შესანიშნავადაა ნათქვამი!

ნამდვილ ლენინურ გულისხმიერებასა და ლენინურ სიფრთხილეს მუდამ უნდა ვავლენდეთ ინტერნაციონალური აღზრდისათვის ჩვენს მუშაობაში, და წარვმართავდეთ მას პატრიოტულ აღზრდასთან მჭიდრო კავშირით, თითოეულ ადამიანს ვუნერგავდეთ სსრ კავშირის ყველა ერთან და ეროვნებასთან მეგობრობისა და ძმობის გრძნობას, ეროვნული ურთიერთობის ყველა ერთან და ეროვნებასთან მეგობრობისა და ძმობის ატმოსფერო.

ამ ამოცანებიდან ბევრი ამოიკითხა ბევრმა ადამიანმა, — თქვა გ. კ. ორჯონიკიძემ ამავე ადგილას, — ბევრი ამოიკითხა ბევრმა ადამიანმა, ბევრი ამოიკითხა ბევრმა ადამიანმა, ბევრი ამოიკითხა ბევრმა ადამიანმა,

საქართველო
ფაქტები • მოვლენები

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲡᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲠᲔᲘᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ

**ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲘᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲛ ᲪᲮᲐᲓᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲘᲗᲝᲗ ᲨᲔᲝᲗᲐᲜᲮᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲛᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲠᲔᲑᲐᲡ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲬᲐᲛᲧᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲣᲚᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲬᲐᲛᲧᲕᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲣᲚᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲯᲝᲠᲯ ᲑᲣᲨᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦწᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲐᲠᲗᲝ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობისა და ბოტანიკის მეცნიერების განვითარებაში წვლილისა და სახალხო მეურნეობაში მისი მიღწევების დანერგვისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაარსების 350 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშკარავილი.

თბილისი. 1986 წლის 17 ოქტომბერი.

350 წლის ცოცხალი მუზეუმი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა 1986 წლის 17 ოქტომბერს. ამ ბაღზე ჩვენ ასეთ ინფორმაციას ვიღებთ ბოტანიკოს-ეკოლოგ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, ბ. ყანჩაველისგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღი ერთ-ერთია ევროპის ასეულ ბოტანიკურ ბაღებს შორის. ბაღი ფლობს 4000-ზე მეტ ეგზემპლარს, ანუ 2300 სახეობისა და სახესხვაობის ხე და ბუჩქი. ბაღში ინახავენ ბოტანიკურ-ეკონომიკურ, ბიოლოგიურ-ეკოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, ფენოლოგიურ, ფიტოქიმიურ, ფიტოფარმაკოლოგიურ, ფიტოფიზიკურ, ფიტოფიზიოლოგიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ბიოქიმიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ბიოფიზიკურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ბიოქიმიურ-ეკოლოგიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოფიზიკურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოფიზიკურ-ბიოქიმიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ-ბიოფიზიკურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ-ბიოფიზიკურ-ფიტოფარმაკოლოგიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ-ბიოფიზიკურ-ფიტოფარმაკოლოგიურ-ფიტოქიმიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ-ბიოფიზიკურ-ფიტოფარმაკოლოგიურ-ფიტოქიმიურ-ფენოლოგიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ-ბიოფიზიკურ-ფიტოფარმაკოლოგიურ-ფიტოქიმიურ-ფენოლოგიურ-ფიტოფიზიკურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ-ბიოფიზიკურ-ფიტოფარმაკოლოგიურ-ფიტოქიმიურ-ფენოლოგიურ-ფიტოფიზიკურ-ფიტოფენოლოგიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ-ბიოფიზიკურ-ფიტოფარმაკოლოგიურ-ფიტოქიმიურ-ფენოლოგიურ-ფიტოფიზიკურ-ფიტოფენოლოგიურ-ფიტოფარმაკოლოგიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ-ბიოფიზიკურ-ფიტოფარმაკოლოგიურ-ფიტოქიმიურ-ფენოლოგიურ-ფიტოფიზიკურ-ფიტოფენოლოგიურ-ფიტოფარმაკოლოგიურ-ფიტოქიმიურ, ფიტოფიზიოლოგიურ-ეკოლოგიურ-ბიოქიმიურ-ბიოფიზიკურ-ფიტოფარმაკოლოგიურ-ფიტოქიმიურ-ფენოლოგიურ-ფიტოფიზიკურ-ფიტოფენოლოგი